ნაშრომის მიზანია სტუდენტმა ხელმძღვანელის დახმარებით შეძლოს მკაფიო და ნათელი საკვლევი საკითხის ირგვლივ რელევანტური მეთოდების შერჩევა და სამაგისტრო საფეხურისთვის შესაბამისი მიზნობრივი კვლევის განსახორციელებლად მათი გამოყენება. ასევე გამოუმუშაოს დარგის და მომიჯნავე დისციპლინების ურთიერთდაკავშირების გზით ცოდნის განზოგადება და პრობლემის კომპლექსურად გააზრება; ფინანსური რისკების მენეჯმენტთან დაკავშირებული სიტუაციების დასახასიათებლად შესაბამისი მასალის დამოუკიდებლად მოძიება, გაცნობა და გამოყენება; ლიტერატურის შერჩევა და პირველ წყაროსთან დამოუკიდებლად მუშაობა; საკვლევი მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი; კვლევის შედეგების არგუმენტირებული ანალიზი; სამაგისტრო ნაშრომის თემასთან და შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული მოსაზრებების და იდეების, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაცია.

სამაგისტრო ნაშრომი სრულდება წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად. ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლაში, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში საკითხები, რომლებიც რეგულირებული არ არის წინამდებარე ინსტრუქციით, რეგულირდება სამაგისტრო სწავლების დებულების შესაბამისად.

სწავლის შედეგები

სამაგისტრო თემაზე მუშაობის შემდეგ სტუდენტი:

- ახდენს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული პრობლემების დასმას, სამუშაოების დაგეგმვას და ეტაპობრივად შესრულებას

- ახდენს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებას და მის სწორ გამოყენებას
- იყენებს დასმული საკითხის ირგვლივ მოპოვებული ინფორმაციის დასამუშავებლად სტატისტიკისა და რაოდენობრივ მეთოდებს
- ახდენს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული შესაბამისი ლიტერატურის მოძიებას, დამუშავებას და სამაგისტრო თემაში გამოყენებას აკადემიური წერის სტანდარტების დაცვით
- ფინანსური რისკების მენეჯმენტის სფეროში ფაქტს, მოვლენას, პროცესს ნათლად აღწერს, პრობლემას გამოკვეთს და მისი გადაჭრის გზას/გზებს წარმოადგენს დასაბუთებულად
- ახდენს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული თეორიული, ანალიზური, კვლევითი ნაწილების აგებას
- ახდენს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის, მასალის გაანალიზებას და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებას
- მრავალმხრივად აანალიზებს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებულ პრობლემებს, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების მიზნით
- აანალიზებს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებულ შესაბამის რაოდენობრივ თუ თვისებრივ მონაცემებს
- ახდენს აუდიტორიასთან კორექტულ კომუნიკაციას და დისკუსიას პროფესიული ტერმინოლოგიის დაცვით
- წარადგენს (ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით) კვლევის შედეგებს, მიგნებებს, არგუმენტებს და დასკვნებს როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის
- დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სტანდარტების გამოყენებით

სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა:

სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება მომზადდეს მხოლოდ ფინანსური რისკების მენეჯმენტის კვლევის სამაგისტრო საფეხურის დამამთავრებელ სემესტრში. ამასთან, სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ წინაპირობებს:

- წარმატებით უნდა ჰქონდეს დასრულებული ფინანსური რისკების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის I ნაწილი;
- ფინანსური რისკების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის II ნაწილის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეს შემდეგი სასწავლო კურსი/ები:

FINA5250 ფინანსების მენეჯმენტი

სწავლების მეთოდები

- დისკუსია/დებატები;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;

- პროექტებზე დაფუძნებული სწავლება;

აკადემიური კეთილსინდისიერება

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტის მიერ შერჩეული თემა და შემდგომში ნაშრომი იყოს პირვანდელი ნაშრომი (ორიგინალი) რაც გულისხმობს, რომ უნდა მომზადდეს ექსკლუზიურად ამ კურსისთვის და არ უნდა იყოს რაიმე სახით გამოყენებული სხვა კურსის ფარგლებში.

ნაშრომის აუცილებელი მოთხოვნაა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის შესაბამისად. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ნებისმიერი ფორმის, მათ შორის პლაგიატის, თვით-პლაგიატის, ფაბრიკაციის, ან სხვა სახის აკადემიური თვალთმაქცობის (Cheating) აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომი ფასდება 0 ქულით და საკითხი გადაეცემა სკოლის ადმინისტრაციას კეთილსინდისიერების პოლიტიკის 5 მუხლის 1.1 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენის და შემდგომი მსვლელობის განსახილველად.

ნაშრომის განხორციელების პროცესი და ადმინისტრირება

ადმინისტრირების თავისებურებები

სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტი ამზადებს და იცავს ნაშრომს შესაბამისი მიმართულებებით.

სამაგისტრო ნაშრომი არის სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაო, რომელშიც უნდა აისახოს სტუდენტების მიერ სამაგისტრო სწავლების პროცესში შეძენილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული ღირებულების მქონე ნაშრომს, რომელზეც სტუდენტი მუშაობს მთელი სემესტრის განმავლობაში ინდივიდუალურად. კვლევაში სტუდენტი აღწერს ბიზნეს–სიტუაციებს, რომელიც შედგება მენეჯერული პრობლემებისგან ან საკითხებისგან, რომელიც საჭიროებს გადაწყვეტას ან/და კონკრეტული პოლიტიკის გავლენას საბაზრო სტრუქტურებზე, კონკრეტული ინდუსტრიის/დარგის პრობლემებს და განვითარების პერსპექტივებს.

ნაშრომის შინაარსი ორიენტირებული უნდა იყოს აღნიშნულ საკითხებზე: ორგანიზაციის გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე, მენეჯერებისა და დაქირავებული პერსონალის დამოკიდებულებებსა და რწმენაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და მდგრადობაზე, საბაზრო პირობებზე, კონკურენტთა საქმიანობაზე და სხვადასხვა ეგზოგენურ თუ ენდოგენურ ძალებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის მიმდინარე ან მომავალში განსახორციელებელ სტრატეგიებზე. ნაშრომი ასევე შეიძლება ეხებოდეს ზემოაღნიშნული საკითხებიდან ერთ-ერთს ან ახდენდეს მათ კომპილაციას.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 000 სიტყვას და შესრულებული უნდა იყოს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომისათვის დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად, APA-სტილის სტანდარტის მიხედვით.

ნაშრომთან ერთად ფინალურ დაცვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს, იმავე თემაზე მომზადებული საკონფერენციო თემა ანდა სამეცნიერო სტატია წერილობითი სახით, დანართი #1-ის შესაბამისად. ამ კომპონენტის არ წარმოდგენის შემთხვევაში სტუდენტი ჩვეულებრივ დაიშვება დაცვაზე თუმცა საბოლოო შეფასების კრიტერიუმების ამ კომპონენტში მიიღებს 0 ქულას (ანუ 100%-იდან დააკლდება 10%).

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი და ეტაპები

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა სამ ძირითად ეტაპს მოიცავს: კონცეფციის წარდგენა, წინასწარი განაცხადი, ნაშრომის დაცვა.



კონცეფცია და წინასწარი განაცხადი არასავალდებულოა, რადგან არ ხორციელდება მათი შეფასება. ნაშრომის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

სტუდენტი ნაშრომს აგზავნის თითოეული ეტაპისთვის განსაზღვრულ ვადამდე: კონცეფციას 3 დღით, წინასწარ განაცხადს 5 დღით, ხოლო საბოლოო ნაშრომს ერთი კვირით ადრე, ნაწერი ტექსტის გაცნობის მიზნით. აღსანიშნავია, რომ კონცეფცია და წინასწარი განაცხადი არ ფასდება. საბჭოს წევრები, მხოლოდ აძლევენ განმავითარებელ სიტყვიერ შეფასებას კრიტერიუმების მიხედვით. სტუდენტს შეუძლია არ გამოაგზავნოს კონცეფცია და წინასწარი განაცხადი.

სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია

სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის მიზანია საკვლევი საკითხის თეორიული და პრაქტიკული ღირებულებების წარმოჩენა. კონცეფცია არის წინასწარი გეგმა/მონახაზი იმ კვლევისა, რომელიც სტუდენტებმა დროის განსაზღვრულ პერიოდში უნდა დაასრულონ და სამაგისტრო ნაშრომის სახით წარმოადგინონ. კონცეფციის შედეგად უნდა დადგინდეს: არის თუ არა საკვლევი თემა აქტუალური; მნიშვნელოვანია თუ არა ძირითადი პრობლემატიკა; აქვთ თუ არა სტუდენტებს საკმარისი ცოდნა იმ სფეროში, რომელშიც მუშაობენ; შეძლებენ თუ არა სტუდენტები წარმართონ კვლევა; როგორ შეარჩიეს სტუდენტებმა მასალა და პირველწყაროები; შერჩეულია თუ არა კვლევის სათანადო მეთოდოლოგია; რამდენად შეძლებენ სტუდენტები უპასუხონ კვლევის ძირითად პრობლემატიკას შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით.

მნიშვნელოვანია, კონცეფციაში გამოყოფილი იყოს იდენტიფიცირებადი საკვლევი კითხვა ან ამოცანა, რომლებზედაც სტუდენტები იმუშავებენ. კონცეფციის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 2000 სიტყვას.

სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განაცხადი

სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განაცხადი წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის საფუძველს და მასში მოცემული უნდა იყოს: 1. საკითხის ანალიზი, პრობლემის განსაზღვრა, სტუდენტის მიერ იდენტიფიცირებული საკვლევი კითხვები და ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები, არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის მიმოხილვა; 2. დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია; 3. გამოყენებული ლიტერატურა; 4. ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა.

წინასწარი განაცხადის ეტაპზე სტუდენტის მიერ უნდა მოხდეს პრეზენტაციის წარდგენა საპრეზენტაციო ფაილის გამოყენებით. წინასწარი განაცხადის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 5000 სიტყვას.

საბოლოო დაცვა

ნაშრომის დაცვა ხორციელდება სწავლების მე-18 კვირაში. სტუდენტს აქვს საბოლოო დაცვის აღდგენის საშუალება მე-19 კვირას. აღდგენის პირობები რეგულირდება სამაგისტრო სწავლების დებულებით.

შეფასების კრიტერიუმები

კონცეფციის განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებია:

1	**საკითხის აქტუალურობა, კვლევითი კითხვ(ებ)ა, ჰიპოთეზა, ან/და მიზნები და ამოცანები, შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის ზოგადი რელევანტურობა (მოკლე კომენტარი).**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით
	არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით
2	**ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია და მისაღწევ შედეგებთან მიმართება**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით

	არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით
3	**ტექნიკური გაფორმება**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით
	არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით
4	**კონცეფციის პრეზენტაცია**
	სტუდენტი მსჯელობს ნაშრომის საკითხის ირგვლივ შესაბამისი ლიტერატურის საფუძველზე. სტუდენტმა იცის კვლევის მეთოდები და ასაბუთებს ნაშრომთან მიმართებაში მათ რელევანტურობას
	სტუდენტი ან მსჯელობს ნაშრომის საკითხის ირგვლივ შესაბამისი ლიტერატურის საფუძველზე ან იცის კვლევის მეთოდები და ასაბუთებს ნაშრომთან მიმართებაში მათ რელევანტურობას
	სტუდენტი ვერ მსჯელობს ნაშრომის საკითხის ირგვლივ შესაბამისი ლიტერატურის საფუძველზე და არ იცის კვლევის მეთოდები და ვერ ასაბუთებს ნაშრომთან მიმართებაში მათ რელევანტურობას

წინასწარი განაცხადის განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებია:

1	**საკითხის აქტუალობა, კვლევითი კითხვები, ჰიპოთეზა ან/და მიზანი და ამოცანები, ნაშრომის მისაღწევი შედეგების დასაბუთება.**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით
	არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით
2	**ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა. შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა.**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით
	არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით

3	**ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია თითოეული ამოცანის მიხედვით**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით
	არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით
4	**პრეზენტაცია და დისკუსია ნაშრომის თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე.**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით
	არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით

ნაშრომის საბოლოო დაცვისთვის შეფასების კომპონენტებია:

1	**ნაშრომის კვლევითი კითხვების, ჰიპოთეზის ან/და მიზნების და ამოცანების და ნაშრომის შედეგების რელევანტურობა და აქტუალობა პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის**	**5 ქულა**
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები სრულად რელევანტური და აქტუალურია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის.	100% - 5.00
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები სრულად რელევანტური და მეტწილად აქტუალურია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის.	85% - 4.25
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები მეტწილად რელევანტური და მეტწილად აქტუალურია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის.	70% - 3.50
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები მეტ-ნაკლებად რელევანტური და აქტუალურია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის.	50% - 2.50
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები მეტ-ნაკლებად რელევანტურია და ნათლად არ იკვეთება პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის აქტუალობა.	35% - 1.75
	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები მეტ-ნაკლებად რელევანტური და არ არის აქტუალური პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის.	20% - 1.00

	ნაშრომის მიზნის, ამოცანების და ნაშრომის შედეგები არ არის რელევანტური და აქტუალური პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის.	0% - 0
2	**წერილობითი ტექსტი, ლექსიკა, ნაშრომის მოცულობა და ციტირება;**	**5 ქულა**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად	100% - 5.00
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით	85% - 4.25
	წარმოდგენილი ხარვეზები შეეხება ტექსტის, ლექსიკის ნაწილს, თუმცა არა ციტირების კომპონენტს და ნაშრომის მოცულობას	70% - 3.50
	ხარვეზების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ციტირების კომპონენტს, თუმცა არა ნაშრომის მოცულობას	50% - 2.50
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით უმეტესწილად ციტირების ნაწილში და დარღვეულია ნაშრომის მოცულობის მოთხოვნები	35% - 1.75
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით, დარღვეულია ნაშრომის მოცულობის მოთხოვნები	20% - 1.00
	არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით	0% - 0
3	**საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა. მოძიებული ლიტერატურის რელევანტურობა საკვლევ თემასთან, ლიტერატურაზე დაყრდნობით სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული პრობლემების, ინდუსტრიის, გარემოს, ბაზრის, სფეროს მრავალმხრივად გაანალიზება, პრობლემის გამოკვეთა;**	**20 ქულა**
	მოძიებული ლიტერატურა სრულად რელევანტურია საკვლევ თემასთან; ლიტერატურაზე დაყრდნობით მრავალმხრივად გაანალიზებულია სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და წარმოდგენილია დასაბუთებული დასკვნები	100% - 20.00
	მოძიებული ლიტერატურა სრულად რელევანტურია საკვლევ თემასთან; ლიტერატურაზე დაყრდნობით მეტწილად გაანალიზებულია სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და წარმოდგენილია დასკვნები	85% - 17.00
	მოძიებული ლიტერატურა რელევანტურია საკვლევ თემასთან; ლიტერატურაზე დაყრდნობით გაანალიზებულია სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და წარმოდგენილია დასკვნები	70% - 14.00
	მოძიებული ლიტერატურა მეტ-ნაკლებად რელევანტურია საკვლევ თემასთან; ლიტერატურაზე დაყრდნობით ნაწილობრივ გაანალიზებულია სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და წარმოდგენილია დასკვნები	50% - 10.00
	მოძიებული ლიტერატურა მეტ-ნაკლებად რელევანტურია საკვლევ თემასთან და არასაკმარისია; ლიტერატურაზე დაყრდნობით მცირედით გაანალიზებულია სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და არ არის წარმოდგენილი დასკვნები	35% - 7.00

	მოძიებული ლიტერატურა მეტ-ნაკლებად რელევანტურია საკვლევ თემასთან და არასაკმარისია; ლიტერატურაზე დაყრდნობით ნაკლებად არის გაანალიზებული სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და არ არის წარმოდგენილი დასკვნები	20% - 4.00
	მოძიებული ლიტერატურა არ არის რელევანტური საკვლევ თემასთან; ლიტერატურაზე დაყრდნობით არ არის გაანალიზებული სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და არ არის წარმოდგენილი დასკვნები	0% - 0
4	**ნაშრომში დაგეგმილი დავალებების/ამოცანების შესრულება. ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია თითოეული ამოცანის მიხედვით; სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი; მონაცემების შეგროვება და სწორი გამოყენება;**	**25 ქულა**
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია სრულყოფილია თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი სრულყოფილია; მონაცემები შეგროვებულია და სწორად გამოყენებული;	100% - 25.00
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი არ შეიცავს ხარვეზებს; მონაცემები შეგროვებულია და სწორად გამოყენებული;	85% - 21.25
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია მცირედი ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი შეიცავს მცირედ ხარვეზებს; მონაცემები შეგროვებულია და სწორად გამოყენებული;	70% - 17.50
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი შეიცავს ხარვეზებს, თუმცა მონაცემები შეგროვებულია და მეტწილად სწორად გამოყენებული;	50% - 12.50
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს; მონაცემები არ არის სრულყოფილად შეგროვებული და არ არის სწორად გამოყენებული;	35% - 8.75
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს; მონაცემების შეგროვება არადამაკმაყოფილებელია და არ არის სწორად გამოყენებული;	20% - 5.00
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით/ ან არ არის წარმოდგენილი თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ანალიზი არ არის ჩატარებული; მონაცემები არ არის შეგროვებული.	0% - 0

5	**კვლევის შედეგები და დასკვნები. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;**	**20 ქულა**
	მოპოვებული ინფორმაცია სრულყოფილად არის დამუშავებული რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასაბუთებული დასკვნები;	100% - 20.00
	მოპოვებული ინფორმაცია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით არის დამუშავებული რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასაბუთებული დასკვნები;	85% - 17.00
	მოპოვებული ინფორმაცია მცირედი, მაგრამ არა უმნიშვნელო ხარვეზებით არის დამუშავებული რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე მეტწილად ჩამოყალიბებულია დასაბუთებული დასკვნები;	70% - 14.00
	მოპოვებული ინფორმაცია ხარვეზებით არის დამუშავებული რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნები;	50% - 10.00
	მოპოვებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის დამუშავებული და შეიძლება არ იყენებდეს რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნები ნაკლებად ადექვატურია და არ არის დასაბუთებული	35% - 7.00
	მოპოვებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის დამუშავებული და შეიძლება არ იყენებდეს რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნები არ არის ადექვატური	20% - 4.00
	მოპოვებული ინფორმაცია არ არის დამუშავებული და არ იყენებს რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები	0% - 0
6	**საკონფერენციო ნაშრომი ანდა სამეცნიერო სტატია**	**10 ქულა**
	შესრულებულია ნათლად და სრულყოფილად	100% - 10.00
	შესრულებულია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით	85% - 8.50
	ხარვეზები შეეხება ტექსტის, ლექსიკის ნაწილს, თუმცა არა ნაშრომის შინაარსობრივ ნაწილს	70% - 7.00

	შესრულებულია მნიშვნელოვანი ხარვეზებით	50% - 5.00
	შესრულებულია ფრაგმენტულად, ხარვეზებით და დარღვეულია ნაშრომის მოცულობის მოთხოვნები	35% - 3.50
	შესრულებულია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით, დარღვეულია ნაშრომის მოცულობის მოთხოვნები	20% - 2.00
	არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით	0% - 0
7	**პრეზენტაცია და დისკუსია ნაშრომის თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე.**	**15 ქულა**
	პრეზენტაცია სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; ნათლად არის დაფიქსირებული ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	100% - 15.00
	პრეზენტაცია უმეტესად სრულყოფილია, თუმცა გაწელილია; ლექსიკა გამართული; ნათლად არის დაფიქსირებული ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	85% - 12.75
	პრეზენტაცია მეტ-ნაკლებად სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; მეტწილად გასაგებად არის დაფიქსირებული ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	70% - 10.50
	პრეზენტაცია ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა მეტ-ნაკლებად გამართულია; ნათლად ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	50% - 7.50
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ნათლად ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	35% - 5.25
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	20% - 3.00
	პრეზენტაცია არ არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ვერ ფიქსირდება ინდივიდუალური ხედვა, იდეები.	0% - 0

სულ: 100 ქულა

ნაშრომის სტრუქტურა

მოკლე მიმოხილვა

ნაშრომში მოყვანილი ცხრილების, ნახატების და ილუსტრაციების ჩამონათვალი (მათი არსებობის შემთხვევაში)

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების ჩამონათვალი (არასავალდებულო)

ნაშრომში გამოყენებული სიმბოლოების ჩამონათვალი (არასავალდებულო)

შესავალი

თავი 1 (თავის სათაური)

1.1. (ქვეთავის სათაური)

1.2. (ქვეთავის სათაური)

და ა.შ.

თავი 2 (თავის სათაური)

2.1. (ქვეთავის სათაური)

2.2. (ქვეთავის სათაური)

და ა.შ.

თავი 3 (თავის სათაური)

3.1. (ქვეთავის სათაური)

3.2. (ქვეთავის სათაური)

და ა.შ.

დასკვნები და რეკომენდაციები

დანართები

გამოყენებული ლიტერატურა

დანართი #1

საკონფერენციო ნაშრომის ან სამეცნიერო სტატიის მომზადების ინსტრუქცია

საკონფერენციო ნაშრომი ანდა სამეცნიერო სტატია აუცილებელია წარმოადგინოთ Microsoft Word-ის ფორმატით.

ნაშრომის გვერდების რაოდენობა უნდა იყოს მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 15, კონფერენციისთვის უნდა მოამზადოთ 15 წუთიანი პრეზენტაციისთვის საპრეზენტაციო ფაილი ppt ფორმატში.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ინგლისურ ან ქართულ ენაზე და გაფორმებული ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილით (დეტალები იხილეთ ქვემოთ). საკონფერენციო ტექსტი იკრიფება Sylfaen გარნიტურის გამოყენებით, 11 ზომის კეგლით და სტრიქონებს შორის 1.5 ინტერვალით. ტექსტის გამუქება და ხაზგასმა საჭირო არ არის.

ნაშრომის პირველი გვერდი წარმოადგენს სატიტულო ფურცელს, რომელზეც აღნიშნულია ნაშრომის დასახელება, ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი, საკონტაქტო პირების ელექტრონული ფოსტის მისამართი, სწავლების საფეხური, მიმართულების, ფაკულტეტისა და სასწავლო დაწესებულების დასახელება.

მაგალითად:

სახელი გვარი
ბაკალავრიანტი/მაგისტრანტი/დოქტორნატი
ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა
საქართველოს უნივერსიტეტი, 0171, საქართველო
info@ug.edu.ge

მეორე ავტორის სახელი გვარი
ბაკალავრიანტი/მაგისტრანტი
ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა
საქართველოს უნივერსიტეტი, 0171, საქართველო
university@ug.edu.ge

მომდევნო გვერდზე წარმოდგენილი უნდა იყოს აბსტრაქტი

ინგლისურ და ქართულ ენებზე შესრულებულ ნაშრომს აუცილებლად უნდა ერთვოდეს აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე. აბსტრაქტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 200 სიტყვას. აბსტრაქტში მოკლედ უნდა ასახოთ კვლევის მიზანი, მთავარი შედეგები და ძირითადი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ოთხი ან ხუთი საკვანძო სიტყვა, რომლებიც ასახავენ ნაშრომის სამეცნიერო დისციპლინისადმი კუთვნილებას და მასში გამოყენებულ ძირითად კონცეფციებს. საკვანძო სიტყვები დააწყეთ ანბანურად და ერთმანეთისგან მძიმით გამოყავით.

JEL კლასიფიკაცია: მიუთითეთ ერთი ან რამდენიმე JEL კოდი. კოდები შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ ბმულზე: http://www.aeaweb.org/econlit/jelCodes.php?view=jel

სამეცნიერო სტატია ან საკონფერენციო თემა უნდა შედგებოდეს შემდეგი ქვეთავებისგან:

- შესავალი
- ძირითადი ნაწილი
- დასკვნები და რეკომენდაციები
- დანართები:
  - კითხვარი #1
  - ცხრილი, დიაგრამა და სხვა ვიზუალური მასალა
- გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

შესავალში მოკლედ გადმოეცით რელევანტური კვლევები, ასევე ავტორი ნათლად უნდა აღწერდეს ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს თემის აქტუალობას და წარმოდგენილი პრობლემის დასმის აუცილებლობას (რატომ თვლით, რომ თემა აქტუალურია, რა პრობლემას აშუქებთ). ასევე კონცეპტუალური აპარატი: კვლევის მიზანი, კვლევის ამოცანები (პუნქტობრივად გაწერილ კვლევის ეტაპებს რომლებიც შესაძლებლობას მოგცემთ უპასუხოთ მიზანს და გადაჭრათ პრობლემა), კვლევის საგანი, ობიექტი, კვლევის მეთოდოლოგია (დეტალურად დაწერეთ, თუ რა სახის კვლევას ჩაატარებთ) მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული კვლევის სპეციფიკასთან მიმართებით.

კვლევის ძირითად ნაწილში

წარმოდგენილია თემის შინაარსი, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კვლევის მეთოდების განსაზღვრას და რელევანტურობის დასაბუთებას, კვლევის აღწერასა და შედეგების ანალიზს.

დასკვნა

დასკვნა ნათლად და კომპაქტურად აჯამებს კვლევის შედეგებს, წარმოაჩენს ნაშრომის ძირითად არსს, სიახლეს, უჩვენებს შემდგომი კვლევის პერსპექტივას.

ციტირება

სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობისას აუცილებელია ნაშრომში ციტირებული ლიტერატურის მითითება იმ სტანდარტების შესაბამისად, ტექსტში:

(ავტორის გვარი, წელი, გვერდი) მაგ.: (ცხადაძე, 2022, გვ 35)

უცხოელი ავტორის მითითებისას (Kotler/კოტლერი, 2020, გვ 75) თუ მეორედ იყენებთ იმავე ავტორს (კოტლერი, 2020, გვ 95).

ელექტრონული წყაროს მითითება:

https://data.worldbank.org/indicator/ბოლო ნახვა 5 ნოემბერი, 2022/

გამოყენებული ლიტერატურის სიაში წყაროს მითითება

მაგალითად:

1. Banerjee, B. How Successful Banks Build their Innovation Strategy. Retrieved March 3, 2013, from http://www.infosys.com/finacle/solutions/thought-papers/Documents/how-successful-banks.pdf

2. Spies F., F., & D., B. (2005). A critical analysis of US real estate appraisal methods when used for financial reporting according to the international financial reporting standards (IFRS). 11th Annual Conference of the PRRES.


3. Uyar, A. (2010). Cost and management accounting practices: a survey of management companies. Eurasian Journal of Business and Economics. (Vol. 3. No 6. pp. 113-125).

4. Wijewardena, H. and Zoysa, A.D. (1999). A comparative analysis of management accounting practices in Australia and Japan: an empirical investigation. The International Journal of Accounting. (Vol. 34. No. 1. pp. 49-70).

ნაშრომში გამოყენებული ცხრილები, დიაგრამები ან სხვა ვიზუალური მასალა თანმიმდევრულად უნდა იყოს დანომრილი და გაფორმებული ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით.

ცხრილი 1. ნიმუში

Item	Font	Size	Style
ნაშრომის სათაური	Sylfaen	12	Bold
ავტორის სახელი და გვარი	Sylfaen	10	Norm
ავტორის მეილი	Sylfaen	10	Italic
აბსტრაქტი	Sylfaen	10	Italic
თავების და ქვეთავების სათაურები	Sylfaen	12	Norm
ტექსტური ნაწილი	Sylfaen	11	Norm
გამოყენებული ლიტერატურა	Sylfaen	10	Norm



დიაგრამა 1 – Variable trend (1995-2010)